პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 27 ივნისი, 1943 წ. № 137 (6762). ფასი 20 კაპ.

კიდევ უფრო მეტი მძლავრი სამხედრო ტექნიკა წითელი არმიისათვის!

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ორი წლის დაძაბული ბრძოლა, ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში მოპარული ზარბაზნებითა და ტანკებით შეიარაღებული ძლიერი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ ორი წლის ომი უდიდეს განსაცდელს წარმოადგენდა ჩვენი წითელი არმიისათვის, ჩვენი ზურგისათვის, მთელი ჩვენი სამშობლოისათვის. საბჭოთა ხალხმა ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და ომის მესამე წელში ჩადგა. ომს არამც თუ არ დაუსუსტებია ჩვენი ქვეყანა, რაზედაც ასე დიდ იმედს ამყარებდა მტერი, არამედ, პირიქით, სამამულო ომის მსვლელობაში გაიზარდა საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერება. წითელი არმია მრისხანე ძალად გადაიქცა მტრისათვის. მას ახლა სავსებით თანამედროვე, მძლავრი სამხედრო ტექნიკა აქვს. ჩვენი არმია გაძლიერდა, მისი ზურგი კი უფრო მტკიცე და ურყევი გახდა. პირველ ზაფხულის კამპანიაში წითელმა არმიამ სერიოზული წარუმატებლობანი განიცადა. არმია იძულებული იყო უკან დაეხია, დაეტოვებინა ის რაიონები, სადაც ჩვენი ხალხის მუყაითი შრომით იქმნებოდა და იფურჩქნებოდა მრეწველობა. საჭირო გახდა ასობითა და ათასობით ქარხნის გადატანა აღმოსავლეთში, ხოლო ახალ ადგილებში მათ აღდგენას დრო სჭირდებოდა. 1942 წლის ზაფხულში გერმანელებმა იმით ისარგებლეს, რომ ევროპაში მეორე ფრონტი არ არსებობდა, და სტალინგრადისა და კავკასიისაკენ დაიძრნენ, ხელთ იგდეს მთელი დონბასი, გაიძალეს კავკასიის ნავთის გადაზიდვა. ჩვენს მეურნეობას ახალ სიძნელეთა დაძლევა მოუხდა. და ეს სიძნელეები დაძლეულ იქნა! მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ წითელ არმიას მისცეს ყველაფერი, რაც საჭირო იყო 1941-1942 და 1942-1943 წლების ზამთრის კამპანიების წარმატებით ჩასატარებლად, მოსკოვთან გერმანელების გასანადგურებლად, სტალინგრადთან გერმანელების გასანადგურებლად, ლენინგრადის ბლოკადის გასარღვევად, ჩრდილოეთ კავკასიაში და დონზე, დნეპრის სათავეებში და ილმენის ტბის ახლოს ჩვენი გამარჯვებებისათვის.

წითელმა არმიამ და მთელმა ჩვენმა ხალხმა სიამაყით წაიკითხეს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში, რომელიც გამოქვეყნებული იყო სამამულო ომის ორი წლის თავზე: „საბჭოთა ფაბრიკები და ქარხნები მთელი სიმძლავრით მუშაობენ და აძლევენ ჩვენს არმიას ყველაფერს, რაც მას ესაჭიროება. ომის განმავლობაში მშრომელებმა უმაგალითო მოკლე ვადაში გარდაჰქმნეს მეურნეობა საომარ ყაიდაზე, მრეწველობის ბაზები საშინაო რაიონებიდან გადაიტანეს აღმოსავლეთში, ააგეს ასობით ახალი სამრეწველო საწარმოები, გაადიდეს ყველა სახის საჭურვლისა და საომარი მასალის წარმოება“.

საბჭოთა მრეწველობა ფრონტის მძლავრი დასაყრდენია.

სამამულო ომის მეორე წლის თავზე გამოქვეყნებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი მთელი რიგი საავიაციო ქარხნების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა ნიჭიერ კონსტრუქტორს სიმონ ლავოჩკინს, რომელმაც ომის დღეებში შეჰქმნა ახალი პირველხარისხოვანი გამანადგურებელი „ლავოჩკინ-5“.

ჩვენმა ქვეყანამ, არმიამ, ამხანაგმა სტალინმა აღნიშნეს საბჭოთა საავიაციო მრეწველობის დამსახურება სამშობლოს წინაშე. საავიაციო მრეწველობის მუშებმა და მუშა ქალებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა მძლავრი თანამედროვე საბრძოლო ტექნიკა მისცეს წითელ საჰაერო ფლოტს. ახლა ჩვენ გაცილებით უფრო მეტ თვითმფრინავებს ვუშვებთ, ვიდრე ომამდე ვუშვებდით. 1942 წელს უფრო მეტი თვითმფრინავები იყო გამოშვებული, ვიდრე 1941 წელს, ხოლო 1943 წლის გასულ თვეებში—უფრო მეტი, ვიდრე 1942 წლის იმავე ხნის განმავლობაში. ჩვენი მანქანები—„იაკოვლევი“, „ლავოჩკინი“, „ილიუშინი“, „პეტლიაკოვი“ და სხვანი, რომელთაც მათი კონსტრუქტორების სახელი ეწოდა, ბრისხანე იარაღია. ტექნიკას დაუფლებული მფრინავები ჩვენი მანქანებით მძლავრად ურტყამენ გერმანელების ნაქებ „მესერშმიტებსა“ და „ფოკე-ვულფებს“, „იუნკერსებსა“ და „ჰაინკელებს“.

სამხედრო ინდუსტრიის ყველა დარგი მდიდარი გამოცდილებით, სერიოზული მიღწევებით შეხვდა ომის ორი წლისთავს. ჩვენმა „კვ“ და „ტ-34“ ტანკებმა, ჩვენმა ზარბაზნებმა, ტყვიაფრქვევებმა და ნაღმსატყორცნებმა ჰიტლერელ ავაზაკებს ცოტა მწარე გაკვეთილი როდი მისცეს.

გერმანელებისაგან წართმეული ნადავლი იარაღის ნიმუშების გამოფენაზე, რომელიც მოსკოვში გაიხსნა, უსიტყვო ჰაუბიცები და ფრთამოჭრილი ფაშისტთა თვითმფრინავები, ეს წითელი არმიის ტყვეები, ყოველგვარ სიტყვებზე უფრო დამაჯერებლად მეტყველებენ საბჭოთა იარაღის ძალის, ჩვენი არმიის გაზრდილი ძალის შესახებ.

მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს ჩვენი მრეწველობის მიღწევები, რაც უნდა სახელოვანი იყოს ის ძნელი გზა, რომელიც ჩვენმა მეურნეობამ განვლო ომის წლებში, ჩვენს წინაშე კიდევ უფრო რთული ამოცანები დგას. ჩვენს ხალხს შეეცირებულად არა აქვს წარმოდგენილი მტრის ძალა. ჯერ კიდევ მძიმე ბრძოლები და დიდი გასაჭირი მოგველის. ამხანაგმა სტალინმა ჩვენ ყველანი გაგვაფრთხილა, რომ მტერზე გამარჯვებისათვის საჭირო იქნება მთელი ჩვენი ძალ-ღონის დაჭიმვა. მტერი ცდილობს აინაზღაუროს ის ზარალი, რაც მან ნახა ტექნიკის მხრივ. იგი აახლებს თავის თვითმფრინავებს. იგი უფრო მძიმე მძლავრჯავშნიან ტანკებს უშვებს. გერმანიის სატანკო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა—სამოცტონიანი ტანკი „ვეფხვი“, ჩვენი არტილერიით დამტვრეული, გამოფენაზეა გამოტანილი. მაგრამ ადამიანისმსგავს ფაშისტ მხეცს კბილები რომ ჩაამტვრიოს, ამისათვის წითელ არმიას ყოველდღე სულ უფრო და უფრო მეტი საბრძოლო ტექნიკა უნდა ვაძლიოთ.

ჩვენი კონსტრუქტორები — საავიაციო, სატანკო, საარტილერიო კონსტრუქტორები,—იარაღისა და საომარი მასალის შემქმნელნი—წარმატებით მუშაობენ ტექნიკის გასაუმჯობესებლად. უმჯობესდება თვითმფრინავების საფრენსნო თვისებები, იზრდება მოტორების სიმძლავრე. განუწყვეტლივ უმჯობესდება ტანკების, ზარბაზნების, საომარი მასალის ნიმუშები. სწრაფად აითვისოს წარმოება, სულ უფრო და უფრო მასობრივი გახადოს იგი, ფართოდ განავითაროს ახალი ტექნიკა, არ შეჩერდეს ერთ ადგილზე, არასოდეს და არაფერში არ ჩამორჩეს, არამედ ყველაფერში გაუსწროს მოწინააღმდეგეს—აი რა არის მრეწველობის თითოეული მუშაკის კანონი.

ომიანობის დრო ძვირფასია. როგორც ბრძოლის ველზე არ შეიძლება დროის დაკარგვა, ისე ზურგშიც არ შეიძლება მისი დაკარგვა. ჩვენ ვჩქარობთ, ფრონტი გვაჩქარებს, ფრონტს არ შეუძლია არ აგვაჩქაროს. მაგრამ დროის ფაქტორის დაფასების უნარს საერთო არა აქვს რა მავნე აჩქარებულობასთან. ტერიშობანის ციებ-ცხელებასთან, წარმოებაში უჯულტურობის ყოველგვარ გამოვლინებასთან, რასაც საბოლოოდ შედეგად მოსდევს პროდუქციის ხარისხის გაუარესება. ვისაც სურს იმით ახსნას ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა, პროდუქციის ხარისხის კონტროლის შესუსტება, რომ ახლა „არავის სცალია“, მას არამც თუ არ ესმის ომიანობის დროის ფასი, არამედ ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავს ფრონტის მომარაგებისათვის მიმართულ ღონისძიებებს. ამიტომ ზუსტი რიტმიული მუშაობა, პროდუქციის ხარისხის განუხრელი გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო და არის მრეწველობის მუშაკებისა, მისი სამეურნეო ხელმძღვანელებისა, მისი პარტიული ორგანიზაციებისა.

ისევე, როგორც წინათ, მთელი სამხედრო ინდუსტრიის შემდგომი წარმატებანი დამოკიდებულია იმ დარგებზე, რომლებიც მას ამარაგებენ—შავ და ფერად მეტალურგიაზე. სათბობისა და ენერგეტიკულ მრეწველობაზე, ტრანსპორტზე. სახალხო მეურნეობის ამ გადამწყვეტ დარგებში ახლა მუშაობა წინანდელზე კიდევ უფრო მეტი ენერგიით უნდა სწარმოებდეს. მთელი ძალ-ღონით გავაჩაღოთ ქვანახშირის, ტორფის ამოღება, შეშის დამზადება, მივზიდოთ სათბობი და ნედლეული ბრძმედებთან და მარტენებთან, ელექტროსადგურებთან და ქარხნებთან, შევქმნათ ზამთრის მარაგი, მოვამზადოთ ელექტროსადგურები საშემოდგომო-საზამთრო მაქსიმუმისათვის, უზრუნველვყოთ სარკინიგზო, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტის ყველა რგოლის მუშაობა ომიანობის დროის შესაფერისად—აი დღევანდელი დღის საბრძოლო ამოცანები.

ომის მესამე წელში ჩვენ ჩავდექით ძალ-ღონით აღსავსენი, ჩვენი გამარჯვების რწმენით გამსჭვალულნი. ჩვენ ვიცით გამარჯვების მოპოვების გზები: ეს გზები ჩვენმა ბელადმა და მხედართმთავარმა დიდმა სტალინმა დასახა თავის ისტორიულ გამოსვლებში და ბრძანებებში. ჩვენ კვლავ და კვლავ ვკითხულობთ მათ ამხანაგ სტალინის წიგნში „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, რომელიც ეს არის ახლა გამოვიდა მესამე გამოცემად.

ამხანაგი **სტალინი** ყოველი თავისი გამოსვლით მოუწოდებს ხალხს გააძლიეროს ფრონტისადმი დახმარება, და მრეწველობის მუშაკნი, ომის მესამე წელში გადამდგარნი, ბელადის ამ მოწოდებას უპასუხებენ თანამედროვე მძლავრი სამხედრო ტექნიკის წარმოების ახალი გაძლიერებით, იმით, რომ კიდევ უფრო მეტად დაეხმარებიან წითელ არმიას მოსისხლე მტერთან ბრძოლაში.

„პრავდის“ მოწინავე, 26/VI.

ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის და შინსახკომის სახანძრო დაცვის მუშაკთა დაჯილდოება სსრ კავშირის მედლებით

დიალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, გულადობისა და მამაცობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის და შინსახკომის სახანძრო დაცვის მუშაკთა ჯგუფი. მათ შორის დაჯილდოებული არიან:

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **ბარამიძე** ვასილ ივანეს-ძე—სახელმწიფო უშიშროების მაიორი
2. **გორგოდინსკაია** ბარბარე ალექსანდრეს-ასული—ადგ. საჰაერო თავდაცვის მებრძოლი
3. **ქაჩიბაია** მიხეილ მელიტონის-ძე
4. **ლომთათიძე** ნინო არტემონის-ასული — ადგ. საჰაერო თავდაცვის მებრძოლი
5. **მანაგაძე** დიომიდე ალექსის-ძე ,— ადგ. საჰაერო თავდაცვის მებრძოლი
6. **მარჩენკო** სერგი ივანეს-ძე—სახ. უშიშროების ლეიტენანტი
7. **მელაძე** ალექსანდრა ნიკოლოზის-ასული —ადგ. საჰაერო თავდაცვის მებრძოლი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **რუხაძე** ეკატერინე პავლეს-ასული ადგ. საჰაერო თავდაცვის მებრძოლი
2. **ხოჭერაი** გიორგი პეტრეს-ძე.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
26 ივნისის დილის ცნობა

25 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ქვეითი ჯარის მცირე ჯგუფები დაზვერვას ეწეოდნენ. საარტილერიო ქვეგანაყოფის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა ჩიჩულინმა აღმოაჩინა მოწინააღმდეგის გულდასმით შენიღბული სანაღმტყორცნო ბატარია. არტილერისტებმა სროლა ასტეხეს და მოსპეს მტრის ნაღმსატყორცნები მათი გუნდებიანად.

* * *

სევსკის რაიონში გერმანელთა ქვეითი ჯარის რაზმმა სცადა ბრძოლით დაეზვერა ჩვენი პოზიციები. როცა ჰიტლერელები მაფთულლობურებს მოუახლოვდნენ, 6 ნაწილის მებრძოლებმა თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა ასტეხეს. გერმანელებმა 40 ჯარისკაცი დაკარგეს მოკლულთა სახით და უკან დაიხიეს. სხვა უბანზე საბჭოთა არტილერისტებმა მოწინააღმდეგის 2 დასაყრდენ პუნქტს დაუშინეს. ერთ უბანზე დამწვარია ნივთის საწყობი. სხვა უბანზე 6 დიდი ხანძარი გაჩნდა.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ასეულმა სცადა ნავებით გადმოსულიყო სევერნი დონგცის მარცხენა ნაპირზე. ჩვენმა მოწინავე ქვეგანაყოფებმა ძლიერი სროლა ასტეხეს. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა და კვამლის საფარქვეშ უკან დაიხია თავდაპირველ პოზიციებზე.

* * *

კარელიის ფრონტზე ჩვენი მებრძოლების ორმა ჯგუფმა კაპიტან მირონოვისა და კაპიტან ლებედევის მეთაურობით იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტზე. საბჭოთა მებრძოლები მტრის სანგრებში შეიჭრნენ და გრანატებითა და ხიშტებით თეთრფინელთა ერთ ასეულამდე ჯარი მოსპეს. აფეთქებულია მოწინააღმდეგის 10 მიწური და 2 ძელშეწური საცეცხლე წერტი, მოსპობილია 2 სანაღმტყორცნო ბატარია, 6 დაზგის ტყვიამფრქვევი და საომარი მასალის აღალი.

* * *

ყარიოში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა უკანასკნელ ხანს მტრის 6 გარნიზონი გაანადგურეს და რამდენიმე ასეული ჰიტლერელი გაელიტეს. ამფეთქებელ პარტიზანთა ჯგუფებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 11 სარკინიგზო ეშელონი ჯარებიანად, ტექნიკიანად და სამხედრო ქონებიანად.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანიის 121-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცმა ფელიქს დ-მ, ეროვნებით პოლონელმა, განაცხადა: „121-ე დივიზიაში ბევრია გერმანიის არმიაში ძალით მობილიზებული პოლონელი, ლუქსემბურგელი და ჩეხი. ჩვენ ყველას გვაერთიანებდა ფაშისტური გერმანიისა და ჰიტლერული რეჟიმისადმი სიძულვილი. მე ამხანაგებს ვეუბნებოდი: „ჩვენ ერთი მტერი გვყავს—გერმანელები. ისინი ჩვენს გვერდით არიან. ჩვენი მეგობრები—რუსები ფრონტს გადაღმა არიან. ჩვენ მათთან ერთად უნდა ვიყოთ“. ამ დღეებში ჩვენი პოლკის ჯარისკაცთა ჯგუფი რუსების მხარეზე გადმოვიდა. ჩვენ სხვებიც მოგვყვებიან“.

* * *

გერმანელმა დამპყრობლებმა სცადეს განეზორციელებინათ პინსკის ოლქის ზოგიერთ რაიონში ყველა შრომისუნარიანი მცხოვრების იძულებითი მობილიზაცია გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე გასაგზავნად. მოსახლეობის უმრავლესობა ტყეებში გაიქცა. ჰიტლერელებმა შესძლეს ხელში ჩაეგდოთ რამდენიმე ასეული საბჭოთა მოქალაქე. დაპატიმრებულნი ვაგონებში შერეკეს და გერმანიაში გაგზავნეს. ერთ სადგურთან პარტიზანებმა რკინიგზის ლიანდაგი ააფეთქეს. როცა მატარებელი აყრილ ლიანდაგთან გაჩერდა, საბჭოთა მოქალაქეები ვაგონებიდან გადმოხტნენ, პარტიზანებს შეუერთდნენ, გერმანელი მცველები ამოხოცეს და მიიმალნენ.

* * *

სამხრეთ მაკედონიის (საბერძნეთი) დასავლეთ რაიონებში სასტიკი ბრძოლა სწარმოდა იტალიელთა ჯარებსა და ბერძენ პარტიზანებს შორის. იტალიელებმა 1.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 600 შაშხანა და 3 სატვირთო მანქანა საომარ მასალიანად.

26 ივნისის საღამოს ცნობა

26 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

ჩვენმა მფრინავებმა ფინეთის ყურეში ჩასძირეს მოწინააღმდეგის საგუშაგო კატერი და დააზიანეს ტრალერი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ უბანზე ჩვენმა მზვერავებმა გადალახეს მოწინააღმდეგის მავთულლობურები, შეიჭრნენ მოწინავე სანგრებში და დახოცეს შიგ მყოფი გერმანელი ჯარისკაცები. გერმანელებმა თავი მოუყარეს მაშველ ძალებს და სცადეს გარს შემორტყმოდნენ საბჭოთა მზვერავ რაზმს, მაგრამ მარცხი განიცადეს. მზვერავებმა ზედიზედ მოიგერიეს გერმანელთა ორი კონტრიერიში და ტყვიამფრქვევის ცეცხლის საფარქვეშ დაბრუნდნენ საწყის პოზიციებზე. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის სულ ცოტა 60 გვამი. მზვერავებმა მოიპოვეს დიდმნიშვნელოვანი ცნობები და ხელთ იგდეს ტყვეები.

* * *

ბელგოროდის რაიონში 6 ნაწილის მფრინავებმა—მაიორმა გრიდნევმა და უმცროსმა ლეიტენანტმა ლისიცინამ იერიში მიიტანეს გერმანელთა ბომბდამშენზე „იუნკერს-88“. ატრის თვითმფრინავის მარჯვენა მოტორს ცეცხლი მოეკიდა. ამ დროს მაიორმა გრიდნევმა შეამჩნია გერმანელთა ავიაგამანადგურებელი „ფოკე-ვულფ-190“, რომელიც ახლოვდებოდა. მაიორმა შეცვალა კურსი, იერიში მიიტანა მტრის თვითმფრინავზე და რამდენიმე ჯერით ჩამოაგდო იგი. ამასობაში უმცროსმა ლეიტენანტმა ლისიცინამ დაამსხვრია „იუნკერსი“, რომელიც მიწაზე დაეფარცხა. მალე ღრუბლებიდან გამოჩნდა გერმანელთა კიდევ 2 თვითმფრინავი. მაგრამ გრიდნევს უკვე დახარჯული ჰქონდა მთელი სამარი მასალა და იძულებული იყო ბრძოლის არედან გასულიყო. გერმანელთა თვითმფრინავები გამოედევნენ უიარაღო, მაგრამ ღრუბლებში მანევრების ოსტატურად მომზდენ გრიდნევს, ერთმანეთს დაეჯახნენ და დაიმსხვრნენ. გრიდნევი და ლისიცინა მშვიდობით დაეშვნენ თავიანთ აეროდრომზე.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით იმ ბატარიის არტილერისტებმა, რომლის მეთაურიც არის კაპიტანი ტრიფონოვი, უკანასკნელი 5 დღის განმავლობაში მოსპეს გერმანელთა 5 ბლინდაჟი, 2 სატყვიამფრქვევი წერტი და ჩაახშეს მოწინააღმდეგის 2 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი. მტრის პოზიციებზე ცეცხლითი თავდასხმით არტილერისტებმა გაელიტეს ჰიტლერელთა ერთ ასეულამდე ჯარი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე სნაიპერებმა გაელიტეს 90 ჰიტლერელი. საარტილერიო და საჰაერო ქვეგანაყოფებმა დაუშინეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ნაგებობებს და დაანგრიეს 8 ძელშეწური საცეცხლე წერტი და 6 ბლინდაჟი.

* * *

ბარანოვიჩის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი „სამშობლოსათვის“ უეცრად შეიჭრა დიდ დასახლებულ პუნქტში და დასწვა გერმანელთა საწყობი ამუნიციანად. საწყობის მცველი რაზმი წამოყვანილია ტყვედ. ლაზოს სახელობის რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის სამხედრო მატარებელი, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მოდიოდა. დაიმსხვრა ოთხქმავალი, 11 ვაგონი და პლატფორმა.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა 405-ე ქვეითი პოლკის 4 ჯარისკაცი. ერთმა მათგანმა, ლეო ვეისმა განაცხადა: „მე ლუქსემბურგელი ვარ და მძულს ჰიტლერელები იმისათვის, რომ მათ აიძულეს და დაიმონეს ჩემი სამშობლო, გადააქციეს იგი გერმანიის დანამატად. ჰიტლერის მოადგილემ ლუქსემბურგში, ჯალათმა სიმონმა, ლუქსემბურგი ათასო გესტაპოელებით და საპყრობილეებში ჩაჰყარა ასობით და ათასობით პატრიოტი. ლუქსემბურგელი ხალხი ელოდება მეორე ფრონტის გახსნას ევროპაში, როგორც გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ მსობრივი მოქმედების სიგნალს. მე, ისე როგორც ბევრი ჩემი თანამემამულე, ჰიტლერელებმა ძალდატანებით გამხადეს გერმანიის არმიის ჯარისკაცად. დახვრეტის მუქარით იძულებული ვიყავი გერმანული მუნდირი ჩამეცვა. მაგრამ გერმანელებმა ვერ მაიძულეს შეომნა ჰიტლერისათვის. მე და ჩემი ამხანაგები პირველი შესაძლებლობისთანავე გადმოვედით რუსებთან“.

* * *

ჩერნოგორიასა, ჰერცეგოვინასა და სანჯაკში გრძელდება გაგანთარებული ბრძოლები. იუგოსლავიელი პატრიოტები იგერიებენ იტალელ-გერმანელი ოკუპანტების იერიშებს. დასახლებულ პუნქტ ლეკენიკში პატრიოტებმა იერიში მიიტანეს მტრის კოლონაზე. სამი საათის ბრძოლაში მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 30 ჯარისკაცი დაჰკარგა. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ტყვეები, ნაღმსატყორცნი, 45 შაშხანა და დიდძალი საომარი მასალა. ქალაქ პოჟარევაცთან პარტიზანებმა მოსპეს 55 გერმანელი პოლიციელი. ზაგრებ-ბელგრადის რკინიგზის ხაზზე პატრიოტებმა ლიანდაგიდან გადააგდეს სამხედრო ეშელონი ტვირთიანად. მატარებლის მარცხის შედეგად დამტვრეულია ორთქმავალი და 8 ვაგონი. სხვა რაიონში პატრიოტებმა დასწვეს მოწინააღმდეგის 2 საწყობი და გაელიტეს რამდენიმე ათეული ჰიტლერელი.

ბაჯონ ფრანკლინ დ. რუზველტს,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

ვაშინგტონი

გმადლობთ ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების სიმტკიცისა და სიმამაცის მაღალი შეფასებისათვის.

ჰიტლერული გერმანიისა და მისი ვასალების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ორი წლის ბრძოლის და მოკავშირეთა მიერ იტალია-გერმანიის არმიებისათვის ჩრდილოეთ აფრიკაში მიყენებული სერიოზული დარტყმების შედეგად შექმნილია პირობები ჩვენი საერთო მტრის საბოლოო განადგურებისათვის.

გამარჯვება დადგება, მე ამაში ეჭვი არ მეპარება, მით უფრო მალე, რაც უფრო ჩქარა დავატეხთ მტერს თავზე ჩვენს ერთობლივს გაერთიანებულ დარტყმებს აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან.

ი. სტალინი.

ბ-ნ ძიან ჯუნ-ჯენს,
ჩინეთის ნაციონალური მთავრობის აღმასრულებელი იუანის თავმჯდომარეს

გმადლობთ თქვენი მოსალმებისათვის ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის სამამულო ომის ორი წლისთავის გამო. გთხოვთ მიიღოთ ჩემი მადლობა მაღალი შეფასებისათვის, რაც თქვენ მიეცით წითელი არმიის წარმატებებს ბრძოლაში ვერაგ მტერთან, რომელმაც ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის საყოველთაო სიძულვილი გამოიწვია.

ი. სტალინი.

საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი,
გენერალ ჟიროს,
გენერალ დე გოლს

ალჟირი

გმადლობთ თქვენ და საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის განმათავისუფლებელი ომის ორი წლისთავის გამო მოსალმებისათვის.

საბჭოთა ხალხი ღრმა სიმპატიით ეპყრობა ფრანგი ხალხის მამაცურ ბრძოლას ჰიტლერული ჩაგვრის წინააღმდეგ და იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ახორციელებენ საფრანგეთის საუკეთესო ადამიანები და აღდგენის პროცესში მყოფი მისი შეიარაღებული ძალები საფრანგეთის განთავისუფლებისა და აღორძინებისათვის.

საბჭოთა ხალხი დარწმუნებულია, რომ მოკავშირეთა გაერთიანებული ღონისძიებები ჩვენს საერთო მტერზე საბოლოო და სრული გამარჯვებით დამთავრდება.

ი. სტალინი.

ბაჯონ სპაააკს,
ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრს

ლონდონი

გმადლობთ თქვენი თავაზიანი მოსალმებისა და სურვილებისათვის, რაც გადმოგვეცით საბჭოთა კავშირზე ჰიტლერელთა ვერაგული თავდასხმის ორი წლისთავის გამო.

გთხოვთ გადასცეთ ბელგიის მთავრობას საბჭოთა მთავრობისაგან და პირადად ჩემგან, ღრმა სიმპატიის გრძნობა მამაცი ბელგიელი ხალხისადმი მის ბრძოლაში საძულველ დამმონებელთა წინააღმდეგ თავის სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ვ. მოლოტოვი.

საუკეთესოდ დავამუშაოთ ნათესები, მზრუნველობით მოვუაროთ ციტრუსოვანთა ნარგავებს

მეჯი ყურადღება ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლას

აბაშა („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონში ნათესების დამუშავებასთან ერთად სწარმოებს ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლა. კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობაში ჩატარებულია მცენარეთა ირგვლივ შებარვა და ბუდნების გაკეთება, რიგთა შორიც დამუშავება, ავადმყოფობათა წინააღმდეგ წამლობა. ამ მხრივ უკეთესად იმუშავეს სოფ. ონტოფის და გეზათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა, აგრეთვე სოფ. სუჯუნას ორჯონიკიძის სახელობის, ამავე სოფლის წითელარმიელის სახელობის, ზოფ. ნორიოს და ონტოფის ბერიას სახელობის, სოფ. ახალ აბაშის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

სოფ. ონტოფის, ჭოლობნის, მარნისა და პირველი მაისის კოლმეურნეობათა წევრები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ 1941-42 წლის ზამთრის ყინვებისაგან დაზიანებული ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლას.

მაგრამ ციტრუსების განვითარების რემონტისა და მოვლის საქმეში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. გარდა იმისა, რომ წელს მანდარინის ნერგის მოუმარაგებლობის შედეგად სოფ. სეფიეთის სტალინის სახელობის და სოფ. მარნის რეშედასის სახელობის კოლმეურნეობებს პლანტაციების რემონტის გეგმა არ შეუსრულებიათ, ბევრგან რაიონში ციტრუსების კულტურულ ნარგავებზე შეეტრელია ტრიფოლიატის ამონაყარი, რაც აფერხებს ნარგავის ნორმალურ განვითარებას. სუსტი მოვლის, უმთავრესად კი მორწყვის დაგვიანების შედეგად, სოფ. ახალი აბაშის ბაქრაძის სახელობის (თავმჯდომარე კლ. ცომაია) და სოფ. სუჯუნის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ვლ. ცხვიტარია) კოლმეურნეობათა პლანტაციებში ახალი ნარგავების 30 პროცენტამდე გაფუჭებულა, ხოლო რაც გადარჩენილია, სუსტად ავითარებენ ფესვთა სისტემას.

აბაშის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჭინვისაგან დაზიანებული ციტრუსების ნაგებობა ნორმალურად არ მიმდინარეობს, რაც იმითაც ახასიათებს, რომ ფერმერობები თითანადად არ არის დამუშავებული. ეს ითქმის უმთავრესად სოფ. სუჯუნისა და ნორიოს ნაკვეთებზე. აქ ნიადაგი ძნიმია, მაგრამ მიჩაგაუმჯობესებისათვის სათანადო ღონისძიებანი არ გაუტარებიათ. ამიტომ მიწა გამაგრებულია, ღრმა არხების მოუწყობლობის გამო ახლოს არის გრუნტის წყალიც.

ავრეწესები დაცული არ არის მცენარეთა შორის მანძილის მხრივაც. სოფ. სუჯუნის წითელარმიელის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ალ. მინინოშვილი) ზოგან მცენარეები ერთმანეთთან 5 მეტრზეა დარგული, ზოგან კი 1-2 მეტრზე. კოლმეურნეობათა პლანტაციებში ბევრგან დათესილია სხვა კულტურები, ხოლო სოფ. ახალი აბაშის ბაქრაძის სახელობის და სოფ. ნორიოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობათა პლანტაციებში ციტრუსების ზოგიერთი ხე გადაშენებულია ჭინვისაგან.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა საბრძოლო ამოცანები დაგვისახა ციტრუსოვანთა კულტურების მოვლისა და შემდგომი განვითარებისათვის. აბაშის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ვალია სასწრაფო ზომები მიიღონ ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის, **არ** მოვაკლოთ ყოველდღიური მზრუნველობა ციტრუსის თითოეულ ნარგავს და ვიბრძოლოთ ციტრუსოვანთა უხვი მოსავლისათვის.

ტრ. თოდრაძე

გავაძლიერეთ ნათესების დამუშავების ჭემპები

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში მიმდინარეობს თამბაქოს პლანტაციებისა და მარცვლეული კულტურების ნათესების დამუშავება. მთელია რიგმა კოლმეურნეობებმა, რომელთაც დროზე შეასრულეს აღნიშნული კულტურების თესვისა და დარგვის გეგმები, შრომის საუკეთესო ნიმუშები გვიჩვენეს ნათესების მოვლა-დამუშავებაშიც. ოჩამჩირის რაიონის სოფ. ფოქვეშის კოლმეურნეობა „ადირაში“, სოფ. გუფჭის ბერიას სახელობის, სოფ. ტყვარჩელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში უკვე წარმატებით ჩაატარეს თამბაქოს პლანტაციების პირველი გათოხნა და ამ დღეებში დაამთავრებენ მეორე გათოხნას. გალის რაიონის სოფ. ლეკუხონის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობაში დროულად ჩაატარეს პირველი გათოხნა. ოქტომის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ 15 ივნისისათვის დაამთავრეს სიმინდის პირველი გათოხნა და ამჟამად მეორედ თ

სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლნი

ორდენოსანი კაპიტანი ვ. ჯაფარიძე

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით კაპიტანი ვიქტორ კონსტანტინეს-ძე ჯაფარიძე დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

ნ წითელარმიელ გაზეთში დაბეჭდილია ერთ-ერთი კორესპონდენტის წერილი სათაურით „პარტბიუროს მდივნის პირადი მაგალითი".

„ფაშისტებმა,—ნათქვამია ამ წერილში,— თავი მოუყარეს მეავტომატეთა დიდ რაოდენობას და შეუდგნენ კონტრიერიშისათვის მზადებას.

პარტბიუროს მდივანმა ამხ. ჯაფარიძემ თავი მოუყარა კომუნისტებს და ესაუბრა კომუნისტების ამოცანებზე შეტევითს ბრძოლაში.

— არა მარტო უნდა შევინარჩუნოთ მიღწეული წარმატებები,—სთქვა მან, არამედ უნდა განვავითაროთ შეტევა და წინ წავიწიოთ. ამ ბრძოლაში პირადი მაგალითი ჩვენ, კომუნისტებმა, უნდა ვუჩვენოთ დანარჩენ მებრძოლებს...

როდესაც ჩვენმა მებრძოლებმა შეტევა დაიწყეს, ამხ. ჯაფარიძე პირველთა რიგებში იყო. ის თავისი პირადი მაგალითითა და უშიშრობით აღაფრთოვანებდა ყველას. ერთ-ერთი ზღუდისათვის ბრძოლის დროს ამხ. ჯაფარიძე ხელში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია, თვითონ შეიხვია ჭრილობა და განაგრძო ბრძოლა. პირადად მან 6 ჰიტლერული მოჰკლა. გამბედაობისა ფაშისტებმა ახალი ძალები მოიშველიეს. კომუნისტებმა არაფრად ჩაუდგეს მტრის ჭარბი ძალების მოწოლა და მამაცურად განაგრძეს ბრძოლა.

ამხ. ჯაფარიძის საუკეთესო მეგობარი, რომელთანაც იგი მხარდამხარ იბრძოდა,—თედორე პეტრეს-ძე გულორდავა, სწერს მის მახლობლებს:

„ვიქტორ ჯაფარიძემ სამამულო ომის განმავლობაში ჩვენი ქვეგანაყოფის მებრძოლთა და მეთაურთა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მისი სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთი იყო. მას მრავალი სახელოვანი ბრძოლა გადახდა, რომლებშიც მან გმირად გამოიჩინა თავი. ამხ. ჯაფარიძეს ყოველთვის ნახავდით იქ, სადაც ყველაზე ცხარე ბრძოლა იყო".

ვიქტორ კონსტანტინეს-ძე ჯაფარიძე დაიბადა 1904 წელს ონის რაიონის სოფელ ღარში. 12 წლის ვიქტორი მშობლების ხელმოკლეობის გამო იძულებული იყო მთელი ხუთი წლის განმავლობაში ემუშავა მოჯამაგირედ ბაქოში, ტყიბულში და ონში. 1921-დან 1924 წლამდე მუშაობდა ერთ-ერთ დაწესებულებაში დამტარებლად. 1922 წელს შეიდა საკ. ალკაჯ წევრად. 1924-დან 1925 წლამდე სწავლობდა ქუთაისის 1-ლი საფეხურის პარტიულ სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ 1927 წლამდე მუშაობდა ონის რაიონში ქოხ-სამკითხველოს გამგედ. 1927 წლიდან მუშაობდა აგურ-კრამიტის ქარხანაში მუშად. 1928 წელს გადავიდა თბილისის № 1 სამაქარლამი ქარხანაში მუშად, ხოლო 1932-1933 წლებში მუშაობდა თბილისის ხორკლმბინატის საკ. ალკაჯ ბიურო-კოლექტივის მდივნად. 1930-1933 წლებში სამუშაოსაგან მოუწყვეტლად სწავლობდა ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის საღამოს განყოფილებაზე. კომუნისტური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გაიგზავნა საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის ინსტრუქტორად, ხოლო 1934 წელს ონის რაიკომის ინსტრუქტორად, 1937 წელს გადაყვანილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კადრების განყოფილების ინსტრუქტორად. 1938 წლიდან მუშაობდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მესამე მდივნად, ხოლო 1939 წლიდან ონის რაიკომის მეორე მდივნად. 1939-დან 1941 წლამდე მუშაობდა მილიციის რესპუბლიკური სამმართველოს პოლიტგანყოფილებაში, ხოლო ამ წლიდან 1942 წლამდე მესამე სახელოსნო სკოლის დირექტორად, მოადგილედ პოლიტნაწილში. 1942 წლის დასაწყისში გაწვეულ იქნა წითელ არმიაში.

ნ. ილოშვილი

ორდენოსანი უფროსი ლეიტენანტი ს. თარალაშვილი

სტეფანე იოსების-ძე თარალაშვილი დაიბადა 1915 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში, გლეხის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა, 1937 წელს ამხ. თარალაშვილმა დაამთავრა გორის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტი და ამავე წელს დაინიშნა სოფ. ძველი ანაგის არსრული საშუალო სკოლის დირექტორად. 1938 წელს გაგზავნილ იქნა ერთწლიან სამხედრო კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო უმცროსი ლეიტენანტის წოდება. 1939 წლის თებერვალში ამხ. თარალაშვილი ისევ დაუბრუნდა თავის სკოლას. მისი სკოლა რაიონში მოწინავედ ითვლებოდა.

დაიწყო სამამულო ომი. ამხ. თარალაშვილი მიდის წითელ-არმიაში. თუ როგორ ასრულებდა იგი თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე, ამის შესახებ თავიანთ წერილში მოგვითხრობენ კორესპონდენტები ა. ფორნიკი და ლ. პერელმანი:

„პირველი გერმანელი მან გრანატით მოჰკლა,—სწერენ ისინი.—ეს იყო ოფიცერი. ფაშისტები ამპარტაოდნენ დამხმარე ძალების გადასროლას თავის მარცხენა ფლანგზე. მანქანა მეავტომატეებიანად მიჰქროდა გზაზე, რომელიც ის დაინახა თარალაშვილმა. მან ბორცვიდან ბორცვზე გადახტომით თავი დაუფარა მანქანას და 60 მეტრიდან სტყორცნა გრანატი. იგი აფეთქდა კაბინაში, დაამსხვრია მოტორი. მოჰკლა შოფერი და ოფიცერი. მანქანაში მსხდომმა ფაშისტებმა ყვირილი. ასტეხეს და შეშინებული გადმოცვივდნენ...

...მისი საბრძოლო ანგარიში ყოველდღიურად იზრდებოდა. 600 მეტრის მანძილიდან „ვიქტორ ჯაფარიძემ სამამულო ომის განმავლობაში ჩვენი ქვეგანაყოფის მებრძოლთა და მეთაურთა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მისი სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთი იყო. მას მრავალი სახელოვანი ბრძოლა გადახდა, რომლებშიც მან გმირად გამოიჩინა თავი. ამხ. ჯაფარიძეს ყოველთვის ნახავდით იქ, სადაც ყველაზე ცხარე ბრძოლა იყო".

ვიქტორ კონსტანტინეს-ძე ჯაფარიძე დაიბადა 1904 წელს ონის რაიონის სოფელ ღარში. 12 წლის ვიქტორი მშობლების ხელმოკლეობის გამო იძულებული იყო მთელი ხუთი წლის განმავლობაში ემუშავა მოჯამაგირედ ბაქოში, ტყიბულში და ონში. 1921-დან 1924 წლამდე მუშაობდა ერთ-ერთ დაწესებულებაში დამტარებლად. 1922 წელს შეიდა საკ. ალკაჯ წევრად. 1924-დან 1925 წლამდე სწავლობდა ქუთაისის 1-ლი საფეხურის პარტიულ სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ 1927 წლამდე მუშაობდა ონის რაიონში ქოხ-სამკითხველოს გამგედ. 1927 წლიდან მუშაობდა აგურ-კრამიტის ქარხანაში მუშად. 1928 წელს გადავიდა თბილისის № 1 სამაქარლამი ქარხანაში მუშად, ხოლო 1932-1933 წლებში მუშაობდა თბილისის ხორკლმბინატის საკ. ალკაჯ ბიურო-კოლექტივის მდივნად. 1930-1933 წლებში სამუშაოსაგან მოუწყვეტლად სწავლობდა ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის საღამოს განყოფილებაზე. კომუნისტური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გაიგზავნა საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის ინსტრუქტორად, ხოლო 1934 წელს ონის რაიკომის ინსტრუქტორად, 1937 წელს გადაყვანილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კადრების განყოფილების ინსტრუქტორად. 1938 წლიდან მუშაობდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მესამე მდივნად, ხოლო 1939 წლიდან ონის რაიკომის მეორე მდივნად. 1939-დან 1941 წლამდე მუშაობდა მილიციის რესპუბლიკურ სამმართველოს პოლიტგანყოფილებაში, ხოლო ამ წლიდან 1942 წლამდე მესამე სახელოსნო სკოლის დირექტორად, მოადგილედ პოლიტნაწილში. 1942 წლის დასაწყისში გაწვეულ იქნა წითელ არმიაში.

ნ. ილოშვილი

სერჟანტი პ. ი. მესხიშვილი

წელიწადნახევარი შესრულდა, რაც პავლე იოსების-ძე მესხიშვილი, სტალინის სახელობის ორთქმლავალ-ვაგონ სარემონტო ქარხნის საელმავლო სამმაროს ახალგაზრდა ზეინკალი, წითელ არმიის რიგებში წვივდა. იგი მიიღეს წითელ არმიაში და გაგზავნეს საარტილერიო ნაწილში. ნაწილში მან თავიდანვე დისციპლინირებული და დაუზარელი მებრძოლის სახელი დაიმსახურა, სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. მესხიშვილი რიგითი წითელარმიელობიდან სერჟანტად დაწინაურეს.

გასული წლის ზაფხულზე ის ქვეგანაყოფი, სადაც სერჟანტი პ. მესხიშვილია, მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე გავიდა. მტრთან პირველივე შეტაკებაში ამხ. პ. მესხიშვილის ქვემეხის გუნდმა სახელი გითქვა მთელ ქვეგანაყოფში. მესხიშვილი და მისი ქვემეხის გუნდი უშიშრად და შეუფუფვნებლად ურტყამდა მტერს, რამდენიმე ხნის შემდეგ სერჟანტი მესხიშვილი სარდლობის წარდგენებით დაჯილდოებულ იქნა მედლით საბრძოლო დამსახურებისათვის. ამის შემდეგ პ. მესხიშვილი კიდევ უფრო მეტის ხალისით და ოსტატობით იბრძოდა ჰიტლერელთა გასანადგურებლად.

— დიდად გამახარა თქვენი წერილის მიღებამ,—სწერდა იგი 15 მარტს თავის დას თბილისში.—კარგი უქნია მამაჩემს, რომ ქარხანაში დაუწყია მუშაობა. ახლა ყველამ რაც შეიძლება უკეთ და უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ, რათა მტერი მალე დავამარცხოთ. თქვენი კარგი ამბავის გაგებით გაბარებულმა ვუშინ გაორკეცებული ენერგიით დავცხეთ ფრაცებს. ვიცი, გაგახარდებათ, რომ ამ დღეებში სარდლობამ წარმადგინა მთავრობის მაღალ ჯილდოზე.

პავლე იოსების-ძე მესხიშვილი დაიბადა სოფ. კავთისხევში (ასპის რაიონი), მუშის ოჯახში. მამამისი იოსებ მესხიშვილი თბილისში რკინიგზის მაშინდელ მთავარ სახელოსნოებში მუშაობდა ზეინკლად. როგორც კარგ წამოიზარდა ბავშვი, იოსებმა იგი თბილისში ჩამოიყვანა და მიაბარა რკინიგზის მეექვსე სკოლაში. აქედან პავლე იოსების-ძე მესხიშვილი გადავიდა სტალინის სახელობის ორთქმლავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში, სადაც შეისწავლა ზეინკლობა.

შემდინარე წლის აპრილში არტილერისტი სერჟანტი პ. ი. მესხიშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სერჟანტ პავლე იოსების-ძე მესხიშვილის საბრძოლო ანგარიშზეა მტრის 17 დაბეგრეული ბლინდაჟი, 16 მოსაპობილი სატყვიამფრქვევო წერტი, მტრის ერთ ბატალიონამდე განადგურებული ჯარი და ბევრი სხვა ტექნიკა.

დ. ამირანიძე

უფროსი ლეიტენანტი შ. ზურაბიანი

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით არტილერიის უფროსი ლეიტენანტი შალვა სარდიონის-ძე ზურაბიანი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

შალვა სარდიონის-ძე ზურაბიანი დაიბადა 1915 წელს ქვემო-სვანეთის რაიონის სოფელ ტვიბში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1929 წელს ამხ. ზურაბიანმა დაამთავრა ს. ტვიბის დაწყებითი სკოლა. 1933 წელს ჯახუნდერის არასრული საშუალო სკოლა, ხოლო 1936 წელს დამთავრა თბილისის ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმი. ამავე წელს ამხ. ზურაბიანი იგზავნება ქვემო-სვანეთში ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის რწმუნებულად, ამავე დროს მუშაობს ლენტების სამუშაო სკოლაში მასწავლებლად და თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოს თავმჯდომარედ

1938 წელს ამხ. ზურაბიანი შეეიდა სამხედრო-ტექნიკური არტილერიის საშუალო მეთაურთა სკოლაში, რომელიც წარჩინებით დამთავრა 1940 წელს ლეიტენანტის წოდებით.

ომის დაწყებიდან ამხ. ზურაბიანი ფრონტზე იმყოფება. უფროსი ლეიტენანტის წოდება მან ბრძოლებში მიიღო. მახლობლებისადმი მოწერილ ერთ-ერთ წერილში იგი სწერს: „სამამულო ომმა გამომაწრთო, მამაცი გამხადა. პირველ ხანებში ემეთაურობდი ბატარიას. შემდეგ კი დივიზიონს. გარდა ამისა, სხვადასხვა სპეციალურ დავალებებსაც ვასრულებდი".

მეორე წერილში, რომელსაც ამხ. ზურაბიანი ამხანაგებს სწერს, მოყვანილია მისი ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი: ჩვენი არტილერიის ძლიერი ცეცხლი შეუბარალებლად სპობს უკუქცეული მტრის ცოცხალ ძალსა და ტექნიკას. ერთ დღეს მტერი სამჯერ გადმოვიდა კონტრიერიშზე. ამ ბრძოლებში ჩვენი ქვემეხების ძლიერი ცეცხლით გავანადგურეთ მტრის ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, დავწვით და დავაზიანეთ მტრის რამდენიმე ტანკი. მტერი ასეთ ზარალს ხშირად განიცდის ჩვენგან.

ამხ. ზურაბიანმა მიიღო მონაწილეობა ბრძოლებში ყალინინის ფრონტზე, ჩოსკოვის ოლქში, სმოლენსკის ოლქში. და ყველგან ულმობლად სპობდა ფაშისტებს. გარდა ამისა, მას მოუხდა ბრძოლა მტრის ღრმა ზურგშიც, სადაც მან დიდი გამჭრიახობა, უნარი და გამბედაობა გამოიჩინა. მტრის ზურგში ყოფნის დროს იგი ორჯერ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლა არ შეუწყვეტია. ქვემო-სვანეთის მშრომელებს უყვართ თავიანთი შვილი, რომელმაც ასახელა ისინი დიდ სამამულო ომში.

ერთ-ერთ ბრძოლაში ამხ. ზურაბიანი დაიჭრა და ამჟამად მკურნალობს. იგი მოუთმენლად ელის განკურნებას, რათა კვლავ ჩადგეს მებრძოლთა რიგებში და მუსრი გაავლოს საზიზღარ ბტერს.

ბ. ბაბლუანი

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

მივცეთ ჩვენს ქვეყანას, ფრონტს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია

გამოვასწოროთ ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის ჩამორჩენა

თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკა (დირექტორი პარტოსიანი, პარტბიუროს მდივანი—ჯაშიაშვილი, ფაბკომის თავმჯდომარე—მეძმარიაშვილი) საწარმოო დავალებებს ვერ ანაღდებს. ფაბრიკამ გასული 5 თვის გეგმა ვერ შეასრულა, ჩვენს ქვეყანას, ფრონტს მნიშვნელოვანი რაოდენობით დააკლო ფეხსაცმელი. არც ივნისის ორი დეკადის პროგრამა არის შესრულებული.

გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზები იმაში მდგომარეობს, რომ ფაბრიკაში მოუწესრიგებელია შრომა, სუსტია ადმინისტრატიულ-ტექნიკური ხელმძღვანელობა, სათანადოდ არ ხდება მუშათა ახალი კადრების მომზადება. ტექნიკური ხელმძღვანელი მარჩენკო არ იჩენს საჭირო ოპერატიულობას. იშვიათად დადის საამქროებში. ხშირად მარტო ბრძანებების წერით კმაყოფილდება. ფაბრიკის ზოგიერთ საამქროში (საშტამპო, ნამზადების) სუსტად იბრძვიან პროდუქციის ხარისხისათვის. გეგმით გათვალისწინებული იყო პირველი ხარისხის ფეხსაცმლის 70 პროცენტის დაწარმოება, ფაქტიურად გასულ 5 თვეში ფაბრიკამ გამოუშვა 64,4 პროცენტი. დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება კი დიდდება

პროდუქციის უკეთესი ხარისხისათვის ნაკლებად იბრძვიან შეჯერავ საამქროში. ფეხსაცმლის ლანჩის ღარში ზოგჯერ გვირისტი ზუსტად არ ლაგდება, ლანჩას ხრახნი თანაბრად არ ეკვლება. ხშირად რამდენიმე ხრახნი ერთ ადგილას იყრის თავს.

ფაბრიკის ხელმძღვანელობა და პროფორგანიზაცია საჭირო ყურადღებას არ უთმობენ საამქროებსა და მუშებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას. ახალგაზრდა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, მუშათა მომარაგებისა და კვების საკითხებს. საჭიროა ამ მდგომარეობის დაჩქარებით გამოსწორება.

ფაბრიკაში არიან მოწინავე ადამიანები, რომლებიც ფრონტული თავდადებით მუშაობენ და ყოველდღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ. ასეთები არიან: ს. მარკარიანი, ა. ხოჯოიანი, კ. ბუნიატოვი და სხვ. მაგრამ ამასთანავე არიან ისეთი მუშებიც, რომლებიც ნორმებს ვერ ასრულებენ, არ ტვირთავენ სამუშაო დროს.

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა აღნიშნულ ფაბრიკას საჭირო ტექნიკური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწია. სახელდობრ: ფაბრიკაზე მიამაგრა ტყავფეხსაცმლის სამმართველოს მთავარი ინჟინერი ამხ. ნადირაშვილი, რომლის დახმარებითაც ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი ჩამორჩენის გამოსასწორებლად და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საჭიროა ფაბრიკის სამეურნეო ხელმძღვანელობამ, პარტიულმა და პროფფესიულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ახალი ღონისძიებების გატარებას ყველა საამქროსა და ადგილებში, სერიოზული ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, განამტკიცონ შრომის დისციპლინა და უზრუნველყონ ჩვენი ქვეყნისა და გმირი წითელი არმიისათვის ფეხსაცმლის გამოშვება გეგმის გადამეტებით.

ბ. ოკოევი

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის ტყავფეხსაცმლის სამმართველოს უფროსი.

ნახევარი წლის გეგმები გადამეჭვებით შეასრულეს

სოხუმი („კომუნისტის" საკ. კორ.). ქალაქ სოხუმის საწარმოები, რომლებიც ჩაბმული არიან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, კვლავ წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა სოხუმის თევზის ქარხანა (დირექტორი ამხ. ინაშვილი). აქ ჯერ კიდევ მაისში შეასრულეს თევზის ჭერის ნახევარი წლის გეგმა და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 6.289 ცენტნერი თევზი. ქარხანამ მიმდინარე წლის დავალება 20 ივნისისათვის 99 პროცენტით გაანაღდა.

კარგად მუშაობენ ქალაქის სამრეწველო კომბინატის საწარმოები, რომლებიც გამოვიდნენ გარღვევიდან და 15 ივნისისათვის შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა. სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულთა რიცხვი თანდათანობით იზრდება.

ვადამდე 20 დღით ადრე

მცხეთა („კომუნისტის" კორ.). ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა (ქარხნის დირექტორი გ. მაცაბერიძე) 1943 წლის პირველი ნახევრის გეგმა ვადამდე 20 დღით ადრე 103.7 პროცენტით შეასრულა. სპეციალური ნახევარი წლის გეგმა 11 ივნისისათვის შესრულებული იყო 212,4 პროცენტით.

ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა გაანაღდა სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი: პროდუქციის თვითღირებულება 21,3 პროცენტით შეამცირა, 18,2 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება და 64.000 მანეთის საწარმოო ეკონომია გასწია.

ენერგიული მუშაობით თავი გამოიჩინეს: საამქროს ოსტატებმა კონსტანტინოვმა და ორთანეზოვმა, სტახანოველმა დურგლებმა ბაგრატ და გაბო არეშვიებმა, კომკავშირელმა ჰოხონელიძემ და სხვებმა, რომლებიც დღიურ ნორმებს 200-286 პროცენტით ასრულებენ.

ქარხნის კოლექტივმა იუბილეს 1943 წლის საწარმოო გეგმა ვადამდე ერთი თვით ადრე 1 დეკემბრისათვის შეასრულოს.

აკ. ძირია

მეორე ორდენი

ბრძოლის გუგუნი რომ მისწყდა და ხანმოკლე მდუმარება ჩამოვარდა, მემეზნე თავის მიწურში დაბრუნდა. მორიგემ, ახალგაზრდა სოხუმელმა, არტილერისტს ორი სამკუთხა კონვერტი გადასცა. სვიმონ იოსელიანმა მაშინვე იცნო მამისა და სატრფოს ხელი და მის მესსიერებაში მაშინვე გაცოცხლდა მწვანე, თეთრმწვერვალებიანი მთაგრეხილი, პატარა სოფელ ქვილაშორსა და ქალაქ ქუთაისს რომ დასცქერის.

ეჯანასაკნელად სვიმონმა მამას და თავის სატრფოს მაშინ მისწერა, როცა ბატალიონის მეთაურმა წითელი ვარსკვლავის ორდენი ჩამოჰკიდა მკერდზე, მიწურში კვამლიან ლუმელთან რომ იჯდა, სვიმონმა აუწერა მათ, თუ რისთვის მიეკუთვნა მთავრობის ასეთი მაღალი ჯილდო.

ერთ-ერთი გაჩაღებული ბრძოლის დროს მან თავისი ქვემეხი ღია პოზიციაზე გამოაგორა, ორმოცდაათი გერმანელი გაჟლიტა და ქვემეხის ყუმბარის პირდაპირი მოხვედრებით დაამსხვრია ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, რომელიც ერთ-ერთი ჩვენი ქვეგანაყოფის შეტევას აკავებდა.

მოხუცი ვარლამ იოსელიანი მეტად გაახარა ამ ამბავმა. „იმედი მაქვს,—სწერდა იგი შვილს,—რომ შენ კვლავაც ულმობლად ურტყამ ბილწ გერმანელებს". სვიმონი კითხულობდა ამ წერილს და დიდ სიამოვნებას გრძნობდა, რომ მამის განაწესი შეასრულა.

ამ დღეს მან ქვემეხის ზუსტი სროლით დაამსხვრია გერმანელთა ექვსლულლიანი ნაღმსატყორცნი, ტანკეტი, სატყვიამფრქვევო წერტი და გაჟლიტა მტრის სამოცი ჯარისკაცი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბატალიონის მეთაური, შტაბთან შეხვდა მამაც მეთაურს და თავისთან მიიხმო იგი.

— მოგილოცავ ახალ ჯილდოს,—უთხრა მან და ხელი ჩამოართვა კომკავშირელს,— შენ მეორე ორდენით დაგაჯილდოვეს.

— გმადლობთ, ამხანაგო ბატალიონის მეთაურო, გმადლობთ, აი მამაჩემიც... იცით, რა კარგად გამოვიდა...—აღელვებისაგან დაულაგებლად ლაპარაკობდა, მაზარა გაიხსნა და ჯიბიდან წერილი ამოიღო.—აი ხედავთ, ამხანაგო ბატალიონის მეთაურო, დღეს მივიღე, მამა მწერს: გისურვებ მიიღო მეორე ორდენი.

ბატალიონის მეთაურმა მხიარულად გაიღიმა.

ი. ზინკოვიჩი

დეპეშები

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 26 ივნისი (საკადესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 25 ივნისს ღამით ინგლისის ბომბდამშენებმა მოახდინეს ინტენსიური თავდასხმა ბოხუმ-გელზენკირხენის რაიონზე (რურის ოლქი). დაბომბილ რაიონში ბევრგან გაჩნდა დიდი ხანძარი. ამ ოპერაციიდან არ დაბრუნებულა ინგლისის 30 თვითმფრინავი.

ბელგიასა და ჰოლანდიაში ჩატარებული ოპერაციების დროს ინგლისის თვითმფრინავებმა ავიაციაში მიიტანეს აეროდრომებსა და სხვა ობიექტებზე.

25 ივნისს ამერიკის მძიმე ბომბდამშენთა ძნიშვნელოვანმა შენაერთმა მოახდინა თავდასხმები სხვადასხვა ობიექტებზე ჩრდილოდასავლეთ გერმანიაში, ამერიკის ბომბდამშენებსა და მოწინააღმდეგის ავიაგამანადგურებლებს შორის გაიფრენებული ბრძოლები მოხდა. მოსპობილია გერმანელთა ბევრი ავიაგამანადგურებელი. ბაზებში არ დაბრუნებულა 18 ბომბდამშენი.

25 ივნისს ინგლისის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მტრის აეროდრომზე კანში (საფრანგეთი).

24 ივნისს ღამით ბომბდამშენ „ველინგტონებმა" იერიში მიიტანეს ოლბიაზე (სარდინია). დოკებისა და შემრჩევი სადგურების რაიონში ბევრგან ჩაჩნდა ხანძარი. 25 ივნისს დღისით თვითმფრინავებისა—„მფრინავი სიმაგრეების" დიდი შენაერთი თავს დაესხა მესინას. ბევრი ბომბი დააყარეს შემრჩევ სადგურს და დოკების რაიონს. ამ ოპერაციების დროს ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის 20 თვითმფრინავი.

ფინეთი ომიდან ომამდე

სტოკჰოლმი, 26 ივნისი (საკადესი). ფიფურ გაზეთ „ჰელსინგინ სანომატში" გამოქვეყნებულია ფინეთის მომარაგების მინისტრ ელილიას სიტყვა. მან განაცხადა: გასული წლის შემოდგომაზე მოსახლეობის მომარაგების გეგმის შედგენისას ნაგულისხმევი იყო, რომ ბაზარში გაცილებით მეტი მარცვლეული შემოვიდოდა, ვიდრე წინა წელს. მაგრამ ეს არ მოხდა. ამიტომ ხელისუფალნი ცდილობდნენ მეეღოთ მარცვლეულის ერთგვარი რაოდენობა საზღვარგარეთიდან, ე. ი. გერმანიიდანო. მაგრამ, როგორც ელილიამ აღიარა, „ამ საკითხზე წარმოებულმა მოლაპარაკებამ დადებითი შედეგი ვერ გამოიღო". ელილიას სიტყვით. ფინეთს მხოლოდდამხოლოდ საკუთარი, მეტად მცირე მარცვლეულის მარაგის ვარაუდი უნდა ჰქონდეს. „ჩვენი მარცვლეულის მარაგი მნიშვნელოვნად შემცირდა,—სთქვა მინისტრმა,—ამჟამად იგი იმდენად გამოილია, რომ საჭირო გახდება შეეამცირონ პურის გაცემის არსებული ნორმები". ელილია გაფრთხილებას იძლევა, რომ საჭირო გახდება „ვაიძულოთ ყველა გლეხი ჩაბაროს სახელმწიფოს იმ მარცვლეულის ნაწილი, რომელიც გასულ წელს დაუტოვეს მას პირადი მოხმარებისათვის".

ელილიამ განაცხადა, რომ მოკლე ხანში გატარდება ხორცისა და მთელი რიგი სხვა პროდუქტების ისედაც სრულიად უმნიშვნელო ნორმების ახალი შემცირება.

შვედური გაზეთი „ს